

## ლაგოდების მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის I კვარტლის შესრულების მიმოხილვა

მოგახსენებთ, რომ ლაგოდების მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტი ლაგოდების მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ დამტკიცებული იქნა 2018 წლის 28 დეკემბრის №57 დადგენილებით. დამტკიცებული ბიუჯეტის შემოსულობები და ხარჯები განსაზღვრული იქნა 8884.400 ათასი ლარით. რაც შეეხება 2018 წლის I კვარტლის ლაგოდების მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გეგმებს შემოსულობებისა და ხარჯების ნაწილში - შეადგინა 2718.2 ათასი ლარი.

ლაგოდების მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის 2018 წლის I კვარტლის შემოსავლების დაზუსტებული გეგმა იყო 2352.3 ათასი ლარი, შესრულებამ შეადგინა 1887,7 ათასი ლარი და გეგმა შესრულდა 80 პროცენტით. მათ შორის შემოსავლების სახეების მიხედვით:

გადასახადების გეგმა იყო 393.0 ათასი ლარი, შემოვიდა 86.9 ათასი ლარი და გეგმა შესრულდა 22 პროცენტით. სხვა შემოსავლების გეგმა იყო 90.0 ათასი ლარი, შემოვიდა 165.1 ათასი ლარი, გეგმის შესრულებამ შეადგინა 183 პროცენტი. ამავე პერიოდში შემოვიდა გრანტები 1635.6 ათასი ლარი. გეგმით გათვალისწინებული იყო 1869.3 ათასი ლარი.

2018 წლის ნაშთის ცვლილებამ შეადგინა 1729.1 ათასი ლარი.

2018 წლის შემოსულობების დაზუსტებულმა გეგმამ ნაშთის ჩათვლით შეადგინა 4081.4 ათასი ლარი, შესრულებამ შეადგინა 3616.8 ათასი ლარი და გეგმა შესრულდა 88 პროცენტით.

ლაგოდების მუნიციპალიტეტის 2018 წლის გადასახდელების (ხარჯების) გეგმა იყო 2718.2 ათასი ლარი, შესრულებამ შეადგინა 1944.6 ათასი ლარი, გეგმა შესრულდა 72 პროცენტით. ხარჯები გაწეულია ეკონომიით. მათ შორის:

1. ლაგოდების მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის ხარჯების დაზუსტებული გეგმა იყო 185.2 ათასი ლარი, შესრულებამ შეადგინა 134.7 ათასი ლარი და გეგმა შესრულდა 73 პროცენტით.
2. მუნიციპალიტეტის მერიის 2018 წლის ხარჯების დაზუსტებული გეგმა იყო 588.5 ათასი ლარი, შესრულებამ შეადგინა 404.1 ათასი ლარი (69%).
3. ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის ამაღლების ხელშეწყობისათვის გეგმიური 32.2 ათასი ლარის ნაცვლად გახარჯული იქნა 27.9 ათასი ლარი და გეგმა შესრულდა 87 პროცენტით.
4. ინფრასტრუქტურის მშენობლობის, რეაბილიტაციისა და ექსპლოატაციისათვის ხარჯები გეგმით გათვალისწინებული იყო 562.2 ათასი ლარი, შესრულებამ შეადგინა 447.6 ათასი ლარი (79%).
5. საგანმანათლებლო ღონისძიებებისათვის ხარჯები განსაზღვრული იქნა 803.9 ათასი ლარი, შესრულებამ შეადგინა 568.1 ათასი ლარი (71%).
6. კულტურის, რელიგიის, ახალგაზრდობის და სპორტის ხელშეწყობის სამსახურის ხარჯების გეგმა იყო 357.0 ათასი ლარი, შესრულებამ შეადგინა 226.2 ათასი ლარი და გეგმა შესრულდა 63 პროცენტით.

7. მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის და სოციალური უზრუნველყოფის ღონისძიებებისათვის გეგმით გათვალისწინებული იყო 168.1 ათასი ლარი, ფაქტიურად გაიხარჯა 135.6 ათასი ლარი (80%).
8. გამგებლის ბრძანებებით სარეზერვო ფონდიდან გამოყოფილი და გახარჯული თანხის ოდენობამ შეადგინა 2.0 ათასი ლარი.

ბიუჯეტის შესრულება თან ერთვის.

ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის მერიის  
საფინანსო სამსახურის უფროსი:



/გ. მანგოშვილი/